

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“ 2017 წლის სამოქმედო გეგმის

შესრულების ანგარიში

ქ. ახალციხე

25.01.2018წ.

გასული 2017 წელი კოლეჯისთვის ზოგადად წარმატებული აღმოჩნდა, თუმცა წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი გამოწვევა კვლავ გამოწვევად დარჩა.

2017 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა საშტატო რიცხვოვნობისა და შრომის ანაზღაურების გაზრდა, რადგან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა ერთიანი მიდგომით, კოლეჯების თანამდებობრივ ფუნქციებთან და შტატებთან დაკავშირებით. თუმცა კოლეჯმა წარმატებით ითანამშრომლა გერმანიის განვითარების სააგენტოსთან და ახალი სპეციალობის- სატყეო საქმე დანერგვისთვის მიიღო მცირე აღჭურვილობისთვის თანხა 40 000 ლარი, ხოლო ძირითადი აღჭურვილობა შეძენილ იქნა მათ მიერ, რამაც განაპირობა აღნიშნული სპეციალობის შეუფერხებელი განხორციელება. ხოლო პედაგოგთა და თანამშრომელთა ხელფასების ზრდა განაპირობა კოლეჯში მიმდინარე სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობამ.

კოლეჯმა 2017 წლის განმავლობაში „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში (2 ეტაპად) 14 პროგრამა - კურსზე გადაამზადა 250 ბენეფიციარი (2016 წელს 13 პროგრამაზე 112 ბენეფიციარი) კურსების წარმატებით განხორციელებისა და დასაქმების მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარე კოლეჯი დასაქმების სააგენტოს მიერ დაჯილდოვდა და მიიღო „წლის საუკეთესო პარტნიორის“ სტატუსი.

საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით პროფორიენტაციისა და შრომითი უნარების გაზრდის მიზნით 3 საჯარო სკოლასთან განვახორციელეთ 5 პროექტი (ტრენინგ-კურსი) სადაც 75-მა მოსწავლემ გაიარა და მიიღო სერთიფიკატი.

პროფორიენტაციული კურსები გაიარეს ასევე გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში 4 სპეციალობაში- (კონდიტერი, კულინარია, ხის მხატვრული დამუშავება და ელექტრიკოსი) #5 საჯარო სკოლის 67 მოსწავლემ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კურსებზე პედაგოგებთან ერთად კურსის მსვლელობის დროს ასისტენტები იყვნენ კოლეჯის წარმატებული კურსდამთავრებულები.

2017 წლის განმავლობაში გავიარეთ ავტორიზაცია სამ მოდულურ პროგრამაზე: მეთევზეობა, სატყეო საქმე, მეფუტკრე (დუალური) და მოდერნიზაცია მოხდა 2 პროგრამის: ელექტრობა, ინფორმაციის ტექნოლოგია.

წლის განმავლობაში ყოველწლიური გეგმიური აქტივობები: ინვენტარიზაცია, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ბიბლიოთეკის სასწავლო ლიტერატურით განახლებადა სხვა... მიმდინარეობდა სტაბილურად.

სისტემატურად ხდებოდა დამსაქმებლების ინფორმირება კოლეჯში არსებული სპეციალობებისა და კურსდამთავრებულების შესაძლებლობების თაობაზე, ტარდებოდა სხვადასხვა აქტივობები, ღია კარის დღეები. პროფორიენტაციის მიზნით რაიონის სკოლების თითქმის 80% იმყოფებოდა კოლეჯში სპეციალობებისა და პირობების გასაცნობად.

2017 წელს კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ასეთია:

№	პროფესია	გამოშვება	მათ შორის დასაქმებულია	დასაქმების %	შენიშვნა
1	მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული)	10	3	30.00	
2	ვეტერინარული მომსახურეობის სპეციალისტი	9	4	44.44	
3	ფერმერი	14	12	85.71	
4	აგრარული ტექნიკის მექანიკოსი	11	3	27.27	
5	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	6	3	50.00	
6	შემდუღებელი	22	7	31.82	
7	მზარეული	33	9	27.27	
8	ელექტრიკოსი	22	7	31.82	
9	სარესტორნო საქმის მწარმოებელი	16	5	31.25	
10	თმის სტილისტი	37	6	16.22	
11	მეფილე-მომპირკეთებელი	12	5	41.67	
12	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	11	2	18.18	
13	დურგალი	9	5	55.56	
14	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი	14	5	35.71	
15	ავტომობილის ზეინკალი	6	1	16.67	
16	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	25	5	20	
17	ბუღალტერი	22	10	45.45	
19	კონდიტერი	10	3	30.00	
20	მზარეული	23	2	8.70	
სულ		312	96	30.77	

ჩატარდა ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებები. მაგ: გამგეობასთან ერთად ვატარებთ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან ღონისძიებებს „მართე შენი კარიერა“

მონაწილეობა მივიღეთ „ახალციხობის“, სხვადასხვა გამოფენებსა და კულტურული ხასიათის ღონისძიებებში.

ჩართულნი ვიყავით განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ 2016 წლის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევაში. (Tracer Study).

საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ინოვაციების ცენტრის ერთობლივ ღონისძიებაში - „ჰაკათონი“ მივალწიეთ მნიშვნელოვან წარმატებას და მოხდა ჩვენი სტუდენტების დაჯილდოება ენერგო-პრო ჯორჯიასა და ფერმერთა ასოციაციის პრიზებით, ფულადი ჯილდოთი.

რაც შეეხება კოლეჯის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, რომელიც გამოიხატებოდა ახალი სახელოსნოების მშენებლობაში, პროცესი დაიწყო იმით, რომ მოხდა ძველი სახელოსნოების დემონტაჟი, რომელთა ადგილას იგეგმება ინფრასტრუქტურის მიერ ახალი სახელოსნოების მშენებლობა. აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს აგრეთვე საერთო საცხოვრებლის საჭიროებასთან დაკავშირებით.

ინტენსიურად მიმდინარეობს პედაგოგთა გადამზადება, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ისე განათლების ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის, ასევე პროფესიული ასოციაციების მიერაც, რაც უწყვეტი პროცესია და დადებითად აისახება სწავლების ხარისხზე.

ვიმედოვნებთ, რომ 2018 წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება ჩვენი სტუდენტებისათვის, კურსდამთავრებულთათვის, პედაგოგებისათვის და თვითეული ჩვენგანისათვის.